ხელშეკრულება N040901/14/2516
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **8 სექტემბერი 2014 წელი**

1.1. ერთი მხრივ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის, ზაზა რუხაიას სახით და მეორე მხრივ, შპს ,,პსპ აფთიაქი” (შემდგომში„მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის კახაბერ ფანჩულიძის სახით, ვხელმძღვანელობთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილებით (შემდგომში – „დადგენილება“) და „იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2013 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2014 წლის შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N397 დადგენილებით, გამარტივებული შესყიდვის შედეგად (CPV კოდი 85100000) ვდებეთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

2.1. 2013 წლის რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში – „პროგრამა“), „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების“ კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის N331 დადგენილების შესაბამისად შექმნილი კომისიის 2014 წლის 23 ივნისს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე (სხდომის ოქმი N23), ხელშეკრულების N 1, 2, 3, 4, 5, 6. დანართით გათვალისწინებული პირებისათვის.
2.2. დანართი N 1, 2, 3, 4, 5, 6. დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1717 (ერთი ათას შვიდას ჩვიდმეტი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება ეტაპობრივად ან/და ერთჯერადათ, „შემსყიდველთან“ შესრულებული სამუშაოს წარდგენის შემდეგ.
4.3. „მიმწოდებელი“ მომსახურებას განახორციელებს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „დადგენილებით“ გათვალისწინებული და/ან „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრული (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნების შესაბამისად.
4.4. ამ მუხლის 4.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადა, მოქმედი კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების გარდა, აგრეთვე შეიძლება შეწყდეს 2014 წლის შესაბამის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შემდეგ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
5.1.1. ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;
5.1.2. გაარკვიოს პაციენტი (ან მისი მეურვე) თავის (პაციენტის) უფლება-მოვალეობებში და მისცეს საჭირო ახსნა განმარტებები პროგრამის და/ან გასაწევი სამედიცინო მომსახურების და/ან მედიკამენტების მიწოდების (ასეთის დაფინანსების შემთხვევაში) შესახებ, რომელიც ეხება პაციენტს;
5.1.3. კანონმდებლობის სრული დაცვით აღმოუჩინოს სამედიცინო დახმარება პაციენტს;
5.1.4. ოპერატიულად მიაწოდოს „შემსყიდველს“ ინფორმაცია, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შეფერხებას და/ან შეწყვეტას (მაგ.: სამედიცინო საქმიანობის ლიცენიის/ნებართის შეჩერება, ჩამორთმევა და ა.შ.);
5.1.5. „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია თუ დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება პროგრამის ადმინისტირებას და/ან ამ მუხლის 5.3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას;
5.1.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისას ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და „შემსყიდველის“ მიერ დადგენილი (მიღებული) მოთხოვნები (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში).
5.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
5.2.1. მიიღოს „შემსყიდველისაგან“ პროგრამის მიხედვით შესრულებული მომსახურების საფასური;

5.2.2. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.
5.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
5.3.1. პროგრამის ფარგლებში, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურების საფასური;
5.3.2. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;
5.3.3. გააცნოს „მიმწოდებელს“ ამ მუხლის 5.4.3. პუნქტის შესაბამისად მიღებული (გამოცემული) აქტი. გაცნობად ჩაითვლება აქტის „შემსყიდველის“ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) გამოქვეყნება.
5.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
5.4.1. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
5.4.2. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებას;
5.4.3. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამით გათალისწინებული ურთიერთობების დარეგულირების მიზნით, მიიღოს (გამოსცეს) ინდივიდულაურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა „მიმწოდებლისათვის“ იმ მოცულობით, რაც უკავშირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას. ამ პუნქტით გათვალისწინებული აქტის მიღება წარმოადგენს „შემსყიდველის“ უფლებას და არა ვალდებულებას.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
6.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;
6.1.2. მხარეთა შეთანხმებით;
6.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
6.2. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ინიციატორი მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას.
6.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, შეთანხმების მიღწევამდე.
6.4. „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ „მიმწოდებელის“ წერილობითი ინფორმირების შემდეგ:
6.4.1. თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს შესაბამისი მომსახურება ან მისი ნაწილი;
6.4.2. თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
6.5. „შემსყიდველს“ ცალმხრივად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
6.5.1. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
6.5.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
6.6. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ცალმხრივად შეწყვეტა ხორციელდება „დადგენილებით“ გათვალისწინებული პირობებით.
6.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების
გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

8.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
8.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.4. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით,

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

9.2. მხარეებს, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

11. მხარეთა პასუხისგებლობა

11.1. მხარეთა პასუხისგებლობა ხელშეკრულების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და პირობების დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და/ან „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრული (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნების შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

12.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

12.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

12.4. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

12.5. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

12.6. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტით ეტაპოვრივად ან/და ერთჯერადათ, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან ინვოისს, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში. მხარეები აგრეთვე ვთანხმდებით, რომ გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოწოდების ფორმები და პირობები შესაძლებელია დაზუსტდეს დამატებით, „შემსყიდველის“ მიერ, რაც ეცნობება „მიმწოდებელს“.

12.7. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ურთიერთობები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

12.8. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ხოლო ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	შპს ,,პსპ აფთიაქი”
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144,	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №148/III
საიდენტიფიკაციო კოდი №202178927	საიდენტიფიკაციო კოდი №202199575
	ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა “ბანკის კოდი N REPLGE22
	ანგარიშის N GE30BR0000010228710698
ზაზა რუხაია	კახაბერ ფანჩულიძე
დირექტორის მოადგილე	დირექტორი

დანართი №1

სახელი, გვარი:	პირადი ნომერი	საოქმო გადაწყვეტილებით დასაფინანსებელი თანხა	
დარეჯან კუთხაშვილი	01004012506	1032	
მედიკამენტის ღირებულება	რაოდენობა	ერთ ფასი	მთლიანი ღირებულება
ბამბა სამედიცინო 50გ	11	0.45	4.95
გლიცეროლი სანთ.2250მგN18 მოზრდ	2	5.84	11.68
ზომეტა ხსნარი 4მგ/5მლ N1-S	1	319.97	319.97
ზომეტა ხსნარი 4მგ/5მლ N1-S	2	319.97	639.94
ლიოტონი 1000 ჟელე 50გ	2	11.7	23.4
ნო-შპა ტაბ. 40მგ N100	2	6.95	13.9
სენადექსინი ზდაროვიე ტაბ. N10	10	0.45	4.5
შპრიცი ინსულინის 1მლ U-100	13	0.12	1.56
შპრიცი ინსულინის 1მლ U-100	100	0.12	12
ათასოცდათერთმეტი ლარი და 90 თეთრი			1031.9

შემსყიდველი:
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

ზაზა რუხაია
დირექტორის მოადგილე

მიმწოდებელი
შპს პსპ აფთიაქი

კახაბერ ფანჩულიძე
დირექტორი

დანართი №2

სახელი, გვარი:	პირადი ნომერი	საოქმო გადაწყვეტილებით დასაფინანსებელი თანხა	
ნათელა ღვინჯილია	01019010168	100	
მედიკამენტის ღირებულება	რაოდენობა	ერთ ფასი	მთლიანი ღირებულება
არიფონი რეტ.ტაბ.1.5მგ N30	1	14.25	14.25
ატორისი ტაბ. 20მგ N30	0.6667	12.96	8.64
დეტრალექსი ტაბ. 500მგ N60	0.6667	27.0499	18.03
კარდიომაგნილი ტაბ. 150მგ N100	1	9.69	9.69
ლ-თიროქსინი ტაბ. 100მკგ N100	0.25	6.46	1.62
ნებილეტი ტაბ. 5მგ N28	1	14.99	14.99
პრესტანსი ტაბ. 5მგ/10მგ N30	0.6333	26.3501	16.69
პრესტანსი ტაბ. 5მგ/10მგ N30	0.6	26.35	15.81
ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 71 თეთრი			99.71

შემსყიდველი:
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

ზაზა რუხაია
დირექტორის მოადგილე

მიმწოდებელი
შპს პსპ აფთიაქი

კახაბერ ფანჩულიძე
დირექტორი

დანართი №3

სახელი, გვარი:	პირადი ნომერი	საოქმო გადაწყვეტილებით დასაფინანსებელი თანხა	
იამზე მესხია	62006001883	150	
მედიკამენტის ღირებულება	რაოდენობა	ერთ ფასი	მთლიანი ღირებულება
კალციუმი+D3 ფორტე N60 საღეჭი	0.0333	14.1592	0.47
კალციუმი+D3 ფორტე N60 საღეჭი	1	14.16	14.16
ნაპროფი გელი 10% 45გ	1	12.94	12.94
როტალუდი ტაბ. 4მგ N10	0.1	9.43	0.94
ტექსამენი-ლ 20მგ/2მლ ფლ. N1	9	6.75	60.75
ტექსამენი-ლ 20მგ/2მლ ფლ. N1	9	6.75	60.75
სულ			150.01
მოსათხოვი თანხა: ასორმოცდაათი ლარი			150

შემსყიდველი:
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

ზაზა რუხაია
დირექტორის მოადგილე

მიმწოდებელი
შპს პსპ აფთიაქი

კახაბერ ფანჩულიძე
დირექტორი

დანართი №4

სახელი, გვარი:	პირადი ნომერი	საოქმო გადაწყვეტილებით დასაფინანსებელი თანხა	
გუგულა ყიფიანი	60001018910	200	
მედიკამენტის ღირებულება	რაოდენობა	ერთ ფასი	მთლიანი ღირებულება
გინკოფარი ფორტე ტაბ. N60	1	32.25	32.25
დექსალგინი ტაბ. 25მგ N10	0.7	7.45	5.22
დიპროსპანი ამპ. 1მლ N5	1	57.5	57.5
ვაზოსერკი BID ტაბ. 24მგ N30	1	25.35	25.35
ტიოგამმა ტაბ. 600მგ N60	0.5	81.3	40.65
უნიფლექს-დუალი 3X3 N3	1	39	39
ასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 96 თეთრი			199.96

შემსყიდველი:
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

ზაზა რუხაია
დირექტორის მოადგილე

მიმწოდებელი
შპს პსპ აფთიაქი

კახაბერ ფანჩულიძე
დირექტორი

დანართი №5

სახელი, გვარი:	პირადი ნომერი	საოქმო გადაწყვეტილებით დასაფინანსებელი თანხა	
ცისანა კოპალიანი	62003002586	135	
მედიკამენტის ღირებულება	რაოდენობა	ერთ ფასი	მთლიანი ღირებულება
ამრა ფორტე ტაბ 4/1.25 N30 GMP	1.9667	21.46	42.21
არტოქსანი ფლ.20მგ ფხვN3+გამხN3	2	32.51	65.02
ემკორი ტაბ. 2.5მგ N30	2	5.81	11.62
კარდიომაგნილი ტაბ. 75მგ N100	1	8.91	8.91
ფლებილი კაფს. N30	0.6667	9.9501	6.63
ასოცდათოთხმეტი ლარი და 38 თეთრი			134.38

შემსყიდველი:
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

ზაზა რუხაია
დირექტორის მოადგილე

მიმწოდებელი
შპს პსპ აფთიაქი

კახაბერ ფანჩულიძე
დირექტორი

დანართი №6

სახელი, გვარი:	პირადი ნომერი	საოქმო გადაწყვეტილებით დასაფინანსებელი თანხა	
ანი ყიფშიძე	45001003496	100	
მედიკამენტის ღირებულება	რაოდენობა	ერთ ფასი	მთლიანი ღირებულება
ბუსკოპანი სუპ.10მგ.N10	1	13	13
იოდომარინი ტაბ. 200მკგ N100	0.15	8.05	1.21
იოდომარინი ტაბ. 200მკგ N100	0.38	8.05	3.06
რეიტოილი კაფს. N20	2	14.35	28.7
ჰექსიკონი ვაგ.სუპოზ.16მგ N10	1	12.75	12.75
ეურომაგი B6 ტაბ. N30	2	12.4	24.8
ფერმენტალი კაფს. N15	1	16.4	16.4
ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 91 თეთრი			99.91

შემსყიდველი:
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

ზაზა რუხაია
დირექტორის მოადგილე

მიმწოდებელი
შპს პსპ აფთიაქი

კახაბერ ფანჩულიძე
დირექტორი